



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გახოკიძე რამაზ აკაკის ძე

გახოკიძე რამაზ აკაკის ძე (დ. 17. V. 1945, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1985), საქართველო მინისტრთა საბჭოს (1985) და პ. მელიქიშვილის სახ. პრემიების ლაურეატი (1989). დაამთავრა თსუ (1967). 1971-იდან მუშაობს თსუ-ში. 1983 აქვე ჩამოაყალიბა ბიოლოგ. ქიმ. ლაბორატორია, რ-საც თვითონვე ხელმძღვანელობს. 1991-იდან თსუ-ის ბიოლოგ. ქიმ. კათედრის გამგეა, გ-მ შეისწავლა ოქსიკარბონილურ ნაერთთა და ნახშირწყლების მოლეკულური გადაჯგუფების ახ. ტიპის რეაქციები, დაამუშავა დებოქსიშაქრებისა და სხვა ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სინთეზის ორიგინ. მეთოდები. წამოაყენა ახ. მოსაზრება ზოგიერთი ბუნებრივი ნაერთის ალტერნატიული ბიოსინთეზის შესახებ. გამოავლინა მცენარეთა და ცხოველთა ბრდის ახ. ტიპის სტიმულატორები და დაამუშავა მათი მიღების მეთოდები. ნახშირწყლებისგან მიიღო ამოტის, გოგირდის, სილიციუმის და კალის შემცველი ნაერთები.

თბზ.: ალექსანდრე ბოროდინი, თბ., 1978; გზა ხსნისა, თბ., 1991.
